საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-48/ნ

2018 წლის 7 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – წამლის სააგენტოს მიერ გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის 38-ე ნაწილისა და „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის 37^1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული ,,ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი" (დანართი №1) და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შევსებისა და წარდგენის წესი (დანართი №2).

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი **დავით სერგეენკო**

დანართი №1

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი

წამლის სააგენტო

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № 000000

----- ---------- 20 ---წ. ----------

თვითმმართველი ქალაქი/მუნიციპალიტეტი

1. სსიპ – წამლის სააგენტოს ----------

(ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი და გვარი)

2. სამართალდამრღვევი: ----------

(სახელი, გვარი; დაბადების თარიღი; საცხოვრებელი ადგილი რეგისტრაციის მიხედვით და ფაქტობრივი მდგომარეობით; პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი)

---

3. მოწმე(ები): ----------

(გვარი, სახელი, მისამართი)

4. სამართალდარღვევის ადგილი, დრო და არსი: ----------

---

5. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36^1, 39-ე, 239-ე, 240-ე, 241-ე მუხლების, „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37^1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად შევადგინე აღნიშნული ოქმი იმის თაობაზე, რომ ----------

---

---

7. სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება: ----------

სამართალდამრღვევს უფლება აქვს წარმოადგინოს ოქმისათვის დასართავი ახსნა-განმარტება და შენიშვნები ოქმის შინაარსთან დაკავშირებით.

8. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები.

9. ოქმის შემდგენელი: /----------/ /----------/

(სახელი და გვარი) (ხელმოწერა)

10. სამართალდამრღვევი: /----------/ /----------/

(სახელი და გვარი) (ხელმოწერა)

11. მოწმეები და დაზარალებულები (თუ არიან):

_____ _____ _____

(სახელი და გვარი) (მისამართი) (ხელმოწერა)

_____ _____ _____

(სახელი და გვარი) (მისამართი) (ხელმოწერა)

12. სათანადო ჩანაწერი სრულდება იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევის ჩამდენი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე: _____

დამკვეთი: სსიპ – წამლის სააგენტო

დამამზადებელი:

სფს-ს რეგისტრაციის №

შენიშვნა

ოქმის მეორე მხარეს აღინიშნება:

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები:

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში. ამ პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის დროული შეტყობინების შესახებ და მისგან არ შემოსულა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე.

დანართი №2

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შევსებისა და წარდგენის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წინამდებარე წესი განსაზღვრავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შევსებისა და წარდგენის წესს.

მუხლი 2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი და ოქმის რეკვიზიტები

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – წამლის სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) შესაბამისი უფლებამოსილი პირი.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა, მისი დაცვის სირთულეთა გათვალისწინებით, მიეკუთვნება მკაცრი აღრიცხვის ფორმის მესამე კატეგორიას („მარტივი ტიპი“).

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში აღინიშნება: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნომერი; მისი შედგენის თარიღი და ადგილი; შემდგენლის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი და გვარი; მონაცემები სამართალდამრღვევის შესახებ, მათ შორის, პირადი ნომერი ან გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი; ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის; მოწმეთა და დაზარალებულთა გვარები და მისამართები ასეთის არსებობის შემთხვევაში; სამართალდამრღვევის ახსნა-

განმარტება; საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები.

4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ხელს აწერს მისი შემდგენელი და სამართალდამრღვევი. სამართალდარღვევის ოქმს შეიძლება ხელი მოაწერონ აგრეთვე მოწმეებმა და დაზარალებულებმა, მათი არსებობის შემთხვევაში. თუ სამართალდამრღვევის ჩამდენი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე, მაშინ ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს უფლება აქვს, წარმოადგინოს ოქმისათვის დასართავი ახსნა-განმარტება და შენიშვნები ოქმის შინაარსის გამო, აგრეთვე ჩამოაყალიბოს მის ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

მუხლი 3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსება

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ივსება ლურჯი ან შავი ბურთულიანი კალმით. ოქმში ყველა ჩანაწერი სრულდება გარკვევით და გასაგებად, დაუშვებელია ოქმში ნაწერის გადახაზვა, გადაშლა ან/და გადაფხეკა. ოქმის დაზიანების ან მასში არასწორი მონაცემის შეტანის შემთხვევაში ივსება ახალი ოქმი. დაზიანებული ან არასწორად შევსებული ოქმი ჩამოიწერება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. ადმინისტრაციული სამართალდამრღვევისათვის ოქმის გაგზავნა

ადმინისტრაციული სამართლდარღვევის ოქმი დაუყოვნებლივ ეგზავნება სასამართლოს.